N 16/88238
15/06/2017

88238-16-2-201706151503

საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა საზოგადოებას
(მის: თბილისი, გამრეკელის N19)

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციას
(მის: თბილისი, წერეთლის გამზ. N61)

აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციას
(მის: თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ N2)

გაცნობებთ, რომ აუდიტორების/აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული პირების მიერ რიგ შემთხვევებში არ ხორციელდება სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესრულება.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისათვის (შემდეგში - სამსახური) მოწოდებული ინფორმაციების/დოკუმენტაციის შესაბამისად ირკვევა, რომ გახშირდა ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-13 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტის, 28-ე მუხლის მე-9 პუნქტისა და ,,ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის განსაზღვრის თაობაზე" ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 28 ოქტომბრის N17 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა შეუსრულებლობის ფაქტები. გარემოებებიდან იკვეთება, რომ აუდიტორების/ აუდიტორული ფირმების მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა ხდება მათი მხრიდან სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის სათანადოთ არ ცოდნით. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, კანონის 23-ე მუხლის

მერაბ ალექსიძის #1,
საქართველო, თბილისი, 0193
ტელ: (032) 2 26 11 92

#1 Merab Aleksidze st.
Georgia, Tbilisi, 0193
Tel: (032) 2 26 11 92

პირველი პუნქტით დაკისრებული ვალდებულების ფარგლებში, სამსახური იძულებული იქნება მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის ღონისძიებს.

ამასთან, ასევე საყურადღებოა, რომ 2018 წლიდან ამოქმედდება კანონის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც ,,აუდიტორულ ფირმაში 50%-ზე მეტი ხმის უფლებას უნდა ფლობდეს (ფლობდნენ) რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორი (აუდიტორები) ან/და აუდიტორული ფირმა ან/და ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში ან/და ევროკავშირის წევრი ქვეყნების აუდიტორულ რეესტრში რეგისტრირებული ფირმა ან/და ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრი ორგანიზაციების წევრი ფიზიკური პირი (პირები)".

ზემოაღნიშნული საკითხებიდან გამომდინარე, აუდიტის სფეროში სამართალდარღვევათა პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია პროფესიული ორგანიზაციების მხრიდან განხორციელდეს მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებზე წევრი აუდიტორების და აუდიტორული ფირმების ინფორმირება.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

იური დოლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრულ აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური